დასკვნა

ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. №49-ში მდებარე შპს „ფასადი“-ს 4-სართულიანი შენობის გამოკვლევის შედეგად ვასკვნით:

1. განსახილველი შენობა წარმოადგენს 4-სართულიან (სარდაფით) მსხვილბლოკოვან ნაგებობას ანტისეისმური სარტყელის ბლოკებით. საძირკველი ლენტურია ბეტონის, რომელიც დაყრდნობილია გამოფიტულ თიხა-ფიქლებზე -3.9 მ ნიშნულზე;
2. არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების ღერძებს შორის მანძილები შეესაბამება საპროექტო მონაცემებს;
3. მთლიანად შენობა და მისი ცალკეული კონსტრუქციები ნორმალურ ფუნქციონალურ მდგომარეობაშია. ეზოდან წყლის გაყვანის სისტემა სრულ წესრიგშია. იდეალურ მდგომარეობაშია შენობის სახურავი;
4. საძირკველში გამოყენებული ბეტონის გამოკვლეული მარკა 200÷250 კგძ/მ^2 (კლასი B 20);
5. ცოკოლის ბლოკებში გამოყენებული ბეტონის გამოკვლეული მარკაა 250÷300 კგძ/მ^2 (კლასი B 22.5);
6. შენობაზე მე-5 სართულის დამატების შემთხვევაში, გადაანგარიშებამ გვიჩვენა შემდეგი: კედლის ბლოკების, ცოკოლის ბლოკების, კიბის უჯრედის კონსტრუქციებისა და საძირკვლის ბლოკების სიმტკიცე ნორმის ფარგლებშია. შენობის რხევის პერიოდი – 1.12 წმ, შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური გადაადგილება – 1.5 სმ, საძირკვლის ჯდენის სიდიდე – 0.43 მმ. რაც მიუთითებს იმაზე, რომ შენობის სიმტკიცე, მდგრადობა, სიხისტე და სეისმური მოთხოვნები ნორმის ფარგლებშია. არ შეინიშნება შენობის ვერტიკალური გადახრები ან დეფორმაციის რაიმე ნიშანი;
7. ჩატარებული კვლევები და გადაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. №49-ში მდებარე შპს „ფასადი“-ს 4-სართულიან შენობაზე მე-5 სრული სართულის დაშენება შესაძლებელია არსებულ პირობებში, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით და საჭირო არ არის რაიმე დამატებითი გამამაგრებელი სამუშაოების ჩატარება.

ექსპერტები:

პროფესორი /თ. ხმელიძე/

პროფესორი /დ. ტაბატაძე/

სპეციალისტი /მ. კიკნაძე/